დღეს თბილისში იხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა

მხურვალე ფიზკულტურული სალამი ყრილობის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 43 (3020)

1966 წ. 2 მარტი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



სურათზე: მოსკოვის X საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში გამარჯვებული თბილისელი ჩოგბურთელი, სპორტის ოსტატი ა. მეტრეველი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სპარტაკიადა გ-ა ი ხ ს ნ ა!

სვერდლოვსკი, 1 მარტი. დღეს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადა. იგი ეძღვნება სკკპ მომავალ XXIII ყრილობას.

მოსკოვისა და ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე რსფსრ-ს ოლქების 28 ნაკრები გუნდის სადღესასწაულო სვლა ქალაქის ყველაზე ფართო მაგისტრალზე — ლენინის პროსპექტზე შესანიშნავი სანახაობა იყო.

და აი, სპორტსმენები სტადიონზე არიან. მათ მიესალმა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. მაშინი.

... სპარტაკიადის ალამი აღმართულია!

ხვალ გაიმართება პირველი შეჯიბრებები.

მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას

200-კილომეტრიანი ლაშქრობა

საქართველოს რესპუბლიკური ტურისტული საბჭოს ავტო-მოტოსექციამ გასულ კვირას მოაწყო ლაშქრობა 200-კილომეტრიანი მარშრუტით: თბილისი — ვაზიანი — უჯარმა — სასადილო — ბოჟორმა — სიონის წყალსაცავი.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ანაგის ქუჩის ტურისტული ჯგუფის „მერცხლის“, თამბაქოს №1 ფაბრიკისა და სხვა ორგანიზაციების 20 წარმომადგენელი 8 მოტოციკლითა და 1 ავტომანქანით შეუდგნენ ლაშქრობას. გზადაგზა ისინი აწყობდნენ საუბრებს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის შესახებ, რომელსაც მიეძღვნა ეს ღონისძიება.

ტურისტებმა დათვალიერეს სიონის წყალსაცავი, გორგასალის ციხე და სხვა საინტერესო ადგილები.

ვ. ნავროზაშვილი,
ლაშქრობის ხელმძღვანელი, სპორტის ოსტატი.

◆ პ ა რ ი ზ ი, 1 მარტი. ევროპის იუნიორთა არაოფიციალურ ჩემპიონატში — გალეას თასის მორიგ გათამაშებაში საბჭოთა ჩოგბურთელების მეტოქეებად მოგვევლინებიან ავსტრიის, ბულგარეთის, ლუქსემბურგისა და იუგოსლავიის გუნდები. ეს 5 ნაკრები შეადგენს ე. წ. იუგოსლავიურ ჯგუფს — ერთს იმ ოთხიდან, რომლებშიც გაიმართება შესარჩევი შეხვედრები გზად ფინალისკენ.

◆ ტ ო რ ო ნ ტ ო, 1 მარტი. 9 წელიწადი დაჭირდა მსოფლიოს უმაღლესი მიღწევის 0,1 წამით გაუმჯობესებას დახურულ დარბაზებში 50 მეტრზე ქალთა რბენაში. და აი, როგორც იქნა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა 100 მეტრზე რბენაში ვ. ტაიესმა (აშშ) აქ გამართულ შეჯიბრებაში ეს მანძილი დაფარა 5,6 წამში. ძველი მიღწევის ავტორი 1957 წლიდან გახლდათ ი. დანიელსი — ტაიესის თანამემამულე. ამავე ასპარეზობაში მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა მოიპოვა მ. მენინგმა: 880 იარდზე რბენაში ამ მძლეოსანმა ქალმა აჩვენა 2.10,2 (ძველი მიღწევა — 2.10,5 — ეკუთვნოდა უნგრელ ქ. საბო-ნადს).

ვერცხლის დედოფალი

სურათზე: მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფიგურისტი გ. ზაიფერტი (გდრ), რომელმაც წლეულს ორჯერ აიღო „ვერცხლის მოსავალი“ — ბრატისლავაში ევროპის პირველობაზე და დავოსში — მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ფოტო ჟურნალ „სტადიონისა“ (ჩეხოსლოვაკია).

ბუშინ...

ჰელსინკიდან თბილისს ჩამოვიდა სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელმაც გაპულ კვირას ფინეთის ეროვნულ გუნდთან გამართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი და გაიმარჯვა — 24:15. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა გ. შ ა რ ა შ ი ძ ე მ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ამ შესარჩევი შეხვედრის თამაბაზე შემდეგი განაცხადა:

— ფინელებთან თამაში არ გაგვძნელებია. ჩვენი გუნდის სასტარტო შვიდეული ასე გამოიყურებოდა: ცაპენკო, ცერცვაძე, ანთაძე, ფხაკაძე, კლიმოვი, ზელენოვი და ზდორენკო. მეორე ტაიმში ჩვენს კარს იცავდა აბაიშვილი. უნდა აღვნიშნო, რომ მან ძალიან კარგად ითამაშა. მატჩში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მაზურმა და ველდრემ. ჩვენი გუნდიდან ბურთები გაიტანეს: კლიმოვმა — 8, ზელენოვმა — 6, ცერცვაძემ — 5, ფხაკაძემ და ზდორენკომ — 2-2, ანთაძემ — 1, ხოლო ფინელთაგან — ლეჰტოლაინენმა და ასტრეემამ — 5-5, ჰიეტალამ — 2, ჰოლმსტრემმა, ლაინემ და ესტერბერგმა — 1-1.

როგორც ცნობილია, 5 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში ჩვენ ბოლო შესარჩევ მატჩს ვეთამაშებით გდრ-ის ნაკრებს. გერმანელთა გუნდმა ამ ბოლო დროს 8 შეხვედრა გამართა ესვადასხვა ეროვნულ გუნდთან და ყველა მოიგო, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონთან — რუმინეთის ნაკრებთან. ასე რომ, საქმე მეტად ძლიერ კოლექტივთან გვექნება. თუმცა ასაღელვებელი არაფერი გვაქვს: ჩვენც და გდრ-ის გუნდსაც უკვე „ჯიბეში გვიდევს“ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურები.

„ჯიბეში გვიდევს“...

პარტიის ყრილობაზე ფიქრით

სამი კამკამა წანაგი

ვ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა
და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს
თავმჯდომარე.

ამ სტატიის მიზანი, ჩემი შეხედულებით, ორმხრივია: პირველ ყოვლისა, მსურდა მომეთხრო იმ უებჭველ წარმატებებსა და მიღწევებზე, რომლებითაც ხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელები სკკპ XXIII ყრილობასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 45 წლისთავს; მეორე მხრივ — ყრილობის მოახლოებასთან დაკავშირებით, მინდოდა გამეზიარებინა ფიქრები და მოსაზრებანი, რომლებიც გამოიწვია ჩვენი სპორტის განვითარებამ, მისმა გამარჯვებებმა და ჩავარდნებმა.

თითქოს ამ სადღესასწაულო დღეებში უხერხულია ჩავარდნების გახსენება. მაგრამ ჩვენ კომუნისტები ვართ და იმ აზრზე ვდგავართ, რომ დღესასწაული — ეს პირველ ყოვლისა, იმისი გამომზეურებაა, თუ რა გაკეთდა (და, ამავე დროს, თუ რა არ გაკეთდა), და, თანაც, მომავლისკენ მიმართული მზერაა, იმ მომავლისკენ, რომელსაც ვერ მიაღწევ, თუ დღევანდელ ნაკლოვანებებს არ გამოეთხოვე.

მასობრიობა და ოსტატობა — განუყოფელი ფორმულაა. მასობრიობა ბადებს ოსტატობას, ოსტატობა კი ვლინდება სპორტულ ბატალიებში და ემსახურება მასების ახალი აღმავლობის პროპაგანდასა და აგიტაციას.

ამ დღეებში კანონიერი სიამაყის გრძნობით ვუპატაკებთ პარტიასა და ხალხს, რომ საქართველოში ფიზკულტურის 6.520 კოლექტივია, რომ ჩვენთან სპორტში რეგულარულად მეცადინეობს 943.700 კაცი. ვუპატაკებთ აგრეთვე სხვა რამესაც: ჭელსინკიდან ტოკიომდე განუხრელად იზრდებოდა ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში მონაწილე ქართველ სპორტსმენთა წილი და რომ იაპონიის სტადიონებზე ჩვენი რესპუბლიკის 18-მა წარმომადგენელმა მოიხვეჭა 11 მედალი, მათ შორის 2 ოქროსი, ხოლო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში (46,5 ქულა) ჩვენ ვაჯობეთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი, კანადა, ავსტრია, ბელგია, ბრაზილია და სხვ. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ 1965 წელს საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში საქართველოს სპორტსმენებმა დაისაკუთრეს 100 მედალი, მათ შორის — ოქროს 38 მედალი.

ორი ციფრი — 943.700 და 18. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი დღევანდელი სპორტული დისტანცია ასავსე დიდსა და პატარა საქმეებს. საბოლოოდ მომავალი ოლიმპიელის ასპარეზობანი იწყება მის გამარჯვებამდე დიდი ხნით ადრე და უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში თავის როლს ასრულებს ბევრი რამ, მათ შორის, მაგალითად, თაოსნობა, რომელიც წამოიწყეს მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნე ახალგაზრდებმა და გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა. აქაურმა ქალიშვილებმა და ბებერებმა გადაწყვიტეს თავიანთი ძალებით ააგონ სტადიონები, გამთბობი სისტემით აღჭურვილი საწყალჯომარდო აუზები, ტანვარჯიშული და სპორტთამაშობათა დარბაზები და მოწოდებით მიმართეს სხვა სოფლების. ახალგაზრდობას — მიბაძონ მათ მაგალითს. ამ წამოწყებას მხარი დაუჭირეს პარტიულმა ორგანიზაციებმა. იგი მოიწონა რესპუბლიკის მთავრობამ. და აი, ამ საკითხზე მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილება. და უკვე ახლა, როცა ამ თაოსნობის ჩასახვის მომენტიდან ოთხ თვეზე ნაკლები დრო გავიდა, ყოველი მხრიდან მოდის ცნობები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპორტსმენთა სასახელო საქმეებზე. ზუგდიდის რაიონის სოფელ ონარიის საბჭოთა მეურნეობაში გადაწყვიტეს წლის ბოლომდე ააგონ საწყალოსნო აუზი, კუთილმოაწყონ სპორტმოედნები; ლაგოდეხის რაიონში — სპორტული დარბაზი, 4 საფეხბურთო მინდორი, ფრენბურთის 9 და კალათბურთის 3 მოედანი, 2 საჭიდაო სარბაილი, მაღაღმთიან ახმეტის რაიონში — საჭიდაო დარბაზი. მაგრამ განა აქ ყველას ჩამოთვლი!

ბევრს ველოდებით ჯანმრთელობის სახალხო კლუბებისგან, რომლებიც ჩამოყალიბდა თბილისის რიგ რაიონებში. არ შემიძლია თბილი სიტყვით არ მოვიხსენიო ერთ-ერთი მათგანის— „დილის“ ინიციატორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ამჟამად პენსიონერი ი. კიზირია.

სპორტული საზოგადოებრიობა ახლა იმყოფება ზამთრის II სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების ზღურბლზე მთელის ძალით წარმოუბს მზადება ხალხთა IV სპარტაკიადისთვის. ორი ეს უდიდესი, ჭეშმარიტად სახალხო ღონისძიება ასევე ემსახურება მასობრობისა და ოსტატობის ამაღლების საქმეს.

ფიზკულტურის კოლექტივის გზა გადის ზამთრისა და ზაფხულის სპარტაკიადებს შორის. სულ ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და ხალხთა IV სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის თაობაზე. გვინდა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი დადგენილების იმ პუნქტს, სადაც ლაპარაკია საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტნაგებობათა მშენებლობის განვითარების შესახებ. ფიზკულტურის ყოველ კოლექტივს — ხაზს ვუსვამ: ყოველს! — უნდა ჰქონდეს საკუთარი ბაზა. აი, რარიგ ჩინებულად ემთხვევა იმ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშათა ინიციატივა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე, სპორტისადმი სახელმწიფოებრივ ზრუნვას.

მაგრამ ამ საუბარში ჩემ თავს მსურს კითხვა დავუსვა: განა მუდამ და ყოველ შემთხვევაში წაადგა სწორ ხაზს მაობრობასა და ოსტატობას შორის კავშირი? მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ სათხილამურო სპორტი ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ადამიანებს. რომლებმაც იციან და უყვართ თხილამურებზე სრიალი, უბრალოდ, ვერც დათვლი. ამაკვე დროს, საბჭოთა მოთხილამურეების შედეგები საერთაშორისო სარბაელზე (მხედველობაში მყავს ვალეგი) მეტისმეტად მოკრძალებულია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. განა აქ წინააღმდეგობას არ ვაწყდებით? ხე თავისთავად იზრდება, მაგრამ მან რომ გემრიელი და ტკბილი ნაყოფი მოგვცეს, მოვლა სჭირდება. სპორტს ყველა ეტაპზე — დაწყებითიდან უმაღლესამდე — დაკვირვებული, მოფფერებული და გეგმიანი შერჩევა ესაჭიროება. ამის გახორციელება ეკალეგა როგორც საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს, აგრეთვე ნებისმიერი რანგის მწვრთნელს. ჩვენს სპორტში შერჩევის სისტემა, მე მგონია, ბევრი ნაკლოვანებით სცოდავს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავდა როგორც სპორტის ყველა ძირითად სახეობას, აგრეთვე სახეობათა შიგნით ყველა შუალედურ ცალკეულ რგოლს, ჩვენთან, სამწუხაროდ, არც გაგვაჩნია. ეს რომ არა, ჩვენ არც გვექნებოდა გულსატკივნი დამარცხებები საერთაშორისო სარბიელზე, როგორც ეს მოხდა ტოკიოში მძლეოსანთა შეჯიბრებისას, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში. უბედურებაც იმაშია, რომ მარცხდება არა ცალკეული ტანმოვარჯიშე ან ძალოსანი (ასე რომ იყოს, შეიძლებოდა გველაპარაკა მოუღონელობებზე), არამედ ეჭვის ქვეშ დგება სპორტის მოცემულ სახეობაში სასწავლო-სპორტული მუშაობის სარისხი. და მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ძირითად ხარვეზებს ეხვდებით სწორედ იმ რგოლებში, რომლებიც დაკავშირებულია მრავალსაფეხურიან სპორტულ შერჩევასთან.

მწვრთნელთა მუშაობის სირთულე იმითაცაა დიდი, რომ, იწყებს რა სპორტსმენის მომზადებას უმცროსი ასაკიდან, მწვრთნელს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს აღსაზრდელის მომავალი ამბლუა. განა შეიძლება უთხრა 10 წლის ბიჭუნას: „შენ ფეხბურთელი ხარ“, ხოლი პატარა გოგონას: „შენ მოცეგურე გამოხვალ“? ასე იოლად როდი იკვალება სპორტული ბილიკები! კაცხსენებთ, რომ შეაანშნავმა ქართველმა ტანმოვარჯიშემ მედეა ჯუღელმა თავისი სპორტული გზა ცურვით დაიწყო. ამას წინათ ჩეხოსლოვაკიაში მითხრეს, რომ ვერა ჩასლავსკა, სანამ იგი ტანმოვარჯიშე გახდებოდა, კარგი ფიგურისტი იყო.

სხვა საქმეა, რომ ყოველ ადამიანს მონდომებია და შრომისმოყვარეობის ფასად შეუძლია მიაღწიოს განსაზღვრულ სიმაღლეს სპორტში პირველი თარიგიანი ფარგლებშიც კი. ასეთნი შეიძლება გახდნენ, როგორც ჩვენ ვამბობთ, „საამედო ჩამთვლელებად“. სპორტს ასეთი ადამიანებიც ესაჭიროება; ისინი თავიანთი ენთუზიაზმითა და მონდომებით ადუღაბებენ კოლექტივს და მათ მიმართ პატივისცემით უნდა ვიყოთ გამსჭვალული. მაგრამ მწვრთნელის ნიჭი კიდევ ამაში მდგომარეობს, რომ თავაზულებელი საქმიანობით გამოავლინოს, შეარჩიოს და აუზარდოს ისინი, ვინც მოწოდებულია დადება და სიამაყე შეუქმნას ჩვენს სპორტს.

სპორტული მწვერვალები — გამარჯვებები და რეკორდები— აუცილებელია ჩვენთვის როგორც ჩვენი ხალხის მაღალი თვისებების გამოვლინება და კიდევ ერთი დადასტურება ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის უპირატესობისა. სპორტი საერთოდ შეუძლებელია მწვერვალების დაუპყრობლად იმიტომ, რომ მათკენ მისწრაფება ადამიანის და, უპირველეს ყოვლისა, ახალი ადამიანის ხასიათის განუყოფელი ჩვენგა.

მაგრამ ნუთუ არ გვეგბადება აზრი, რომ ბოლოსდაბოლოს სპორტული შესაძლებლობები უსაზღვრო არ არის? შეიძლება გადალახო 2 მეტრი სიმაღლე. შეიძლება, ვთქვათ, ორნახევარი მეტრიც, კარგი, დავუშვათ, სამიც. მაგრამ 10 მეტრი?

თქვენ გეღიმებათ: აი, ისევ ძველისძველი დავა წამოიწყოო... მაგრამ ეს საუბარი მეტად სერიოზულია. მე ვფიქრობ, რომ საბოლოოდ დადგება დრო, როცა ამა თუ იმ მიღწევის შეფასების კრიტერიუმი იქნება არა მარტო მეტრებში გამოხატული შედეგი, არამედ სანახაობითი მხარეც, მოძრაობის შესრულ-ბის ესთეტიზმი, სილამაზე, სინატიფე და ჰარმონია. დე, ეს პარადოქსად არ მოგეჩვენოთ. ჩვენი შვილიშვილები მორბენალთა გამოსვლებს გაზომავენ არა მარტო მათ მიერ ნაჩვენები წუთებითა და წამებით, არამედ მოძრაობათა სილამაზითაც.

ამას ვამბობ იმიტომ, რომ ჩვენი პარტიის პროგრამის სამი ფორმულა, სამი კაშკაში წანაგი —სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა —გვეხება ჩვენც, ფიზკულტურის მუშაკებს. არა ერთი, არამედ ყველა სამივე წანაგი. სპორტი მხოლოდ ჩემპიონთა სამეფოდლო როდია, სპორტი ახალი ადამიანის აღმზრდელიცაა.

რასაკვირველია, თავისთავად ცალკე აღებული ფიზიკური ვარჯიშები ყოვლისშემძლე აღმზრდელობით საშუალებად არ მოგვევლინება. აქ მნიშვნელობა აქვს მათთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსს — მწვრთნელის როლს, კოლექტივის როლს, დისციპლინის შინაგან გამომუშავებას და ამხანაგობის გრძნობას.

ახალგაზრდას, რომელიც გუნდში ან სექციაში მოდის (სადაც იგი მიიღეს თავისი წარმატებებისა და მიღწევებისათვის). ჯერ კიდევ არ შეუძლია ჩათვალოს თავი კოლექტივის სრულუფლებიან წევრად. მის გარშემო არიან სხვა ადამიანები, რომლებიც მას ყურადღებით აკვირდებიან. თითქოს ეკითხებიან: „ეარგი ამხანაგი ხარ შენ? განსაცდელის ჟამს ხომ არ გვიღალატებ? პატიოსანი ხარ? მკაცრი ხარ საკუთარი თავის მიმართ? შენს უნარს გადამეტებით ხომ არ აფასებ?“

კოლექტივი ჩვენი საზოგადოების უდიდესი აღმზრდელობითი ძალაა. მხოლოდ მაშინ შეუძლია ჭაბუკს ჩათვალოს თავი სრულუფლებიან სპორტსმენად, როცა კოლექტივმა, ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით, შეაფასა მისი ადამიანური თვისებები და მიიღო იგი თავის რიგებში.

სპორტით აღზრდაზე — ამ გაგების ყველაზე სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით — ჩვენ შემთხვევით როდი ვლაპარაკობთ ამდენს და ვლაპარაკობთ სწორედ დღეს, სკკპ XXIII ყრილობის ზღურბლზე.

ჩვენ უდიდესი სიამაყის გრძნობით შევხვდით სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ჩვენ ბევრს გვავალებს სტრიქონები: „მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ფართოდ დანერგოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი სახეობები, განსაკუთრებული ყურადღება მიგაქციოთ მათ განვითარებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში“.

დიახ, არის, რასაკვირველია, სპორტში თავისი საზომი — რეკორდების ციფრები, ფიზკულტურელებისა, რომლებიც ჩაბმული არიან სექციებში, მაგრამ მთავარი მიზანი, რომელსაც პარტია უყენებს სპორტულ მოძრაობას, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის, ჩვენი ქვეყნის ახალი ადამიანის ფორმირებაა.

„სოვეტსკი სპორტი“, № 47.
25. 11. 1966 წ.

ვარკეთილელები სიტყვას გაანაღდებენ

როგორც ცნობილია, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეებმა ამას წინათ ივალდებულეს ფიზკულტურასა და სპორტში დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა გახორციელება.

ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ორგანიზაციებში „ლელომ“ მოაწყო თავისი საგუშაგოები. საგუშაგო რედაქციას სისტემატურად აწვდის მასალას თუ როგორ მიმდინარეობს აღებულ ვალდებულებათა შესრულება. წერილი ვაზისუბნელთა საქმიანობაზე უკვე გამოვაქვეყნეთ. დღეს მკითხველებს ვთავაზობთ კორესპონდენციას ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საქმეებზე.

გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ი. კაველაძის ნახვა ძალიან გაგვიჭირდა. სად არ ვეძებეთ — ზვრებში, ხეხილნარში, სამშენებლო უბნებზე... მაგრამ იგი ვერსად მოვიხელთეთ. ერთგან რომ მორჩებოდა საქმეს, მეორე ადგილს მიაშურებდა...

ბოლოს გადავწყვიტეთ მისსავე სამუშაო ოთახში დავლოდებოდით. და აი, ოთახში შემოვიდა დირექტორი — მაღალი, მხარბეჭიანი კაცი, ცოცხალი, ჭკვიანი თვალებით.

როგორც კი გაიგო სტუმრობის მიზანი, მანქანაში მიგვიპატიჟა: წამოდით, დავათვალიეროთ მეურნეობაო.

1600 ჰექტარზეა გადაჭიმული საბჭოთა მეურნეობის ზვრები და ხილის ბაღები. შარშან აქაურმა მშრომელებმა კარგი მოსავალი აიღეს. ახლა აქ დიდი მშენებლობაა გაჩაღებული. საკუთარი სახსრებით აიგება ბავშვთა ბაგა და საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღი და სკოლა (რომელსაც ექნება სპორტდარბაზი), კინოთეატრი და სასტუმრო...

— რას აკეთებთ მეურნეობის ფიზკულტურელთათვის? — შევეკითხეთ დირექტორს.

— ჩვენს ახალგაზრდებს ძალიან უყვართ სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი და ჭიდაობა, — თქვა მან. — ამიტომ იყო, რომ ყველაზე ადრე მეურნეობაში ფეხბურთისა და ჭიდაობის სექციები შეიქმნა. ფეხბურთელებმა უკვე გვასახელეს — გარდაბნის რაიონულ შეჯიბრებაში არავის დაუთმეს პირველობა.

შარშან ჩვენმა ბიჭებმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი გაბართეს მარტყოფელ, ლილოელ და დიღმელ ფეხბურთელებთან. ვარკეთილელი ფიზკულტურელები ზაფხულობით თბილისის ზღვის ხეირი სტუმრები არიან. აქ, ბუნების წიაღში, ყველაზე მეტად ეხალისებათ ცურვასა და ფრენბურთში ვარჯიში და ასპარეზობა.

ახლა ჩვენს ფიზკულტურელებს დაძაბული დღეები დაუდგათ — დაიწყო სტადიონის მშენებლობა. საამისო მოსამზადებელი სამუშაო კი უკვე კარგა ხანია მოვამთავრეთ. მინდორი მოსწორებულია ბულდოზერით, დაგეგმარებულია ფეხბურთისა და სხვა სპორტული მოედნები. წლეულსვე დაიწყება ღია საცურაო აუზისა და სპორტდარბაზის მშენებლობა, კინოთეატრის მახლობლად კი ჩოგბურთის მოედნები გაიმართება.

ერთი სიტყვით, აღებულ ვალდებულებებს, ცხადია, გავანაღდებთ, პირს არ შევერცხვენთ, — დასასკვნა ი. კაველაძემ.

ვარკეთილელ სპორტსმენებს გამოცდილი თავკაციც გამოუჩნდათ: თებერვლის შუა რიცხვებში აქ მეთოდისტად დაიწყო მუშაობა უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე გ. შარაშენიძემ. მან თავიდანვე ენერგიულად ეოკიდა ხელი საქმეს. ახლა მეურნეობაში იქმნება მძლეოსნობის, ხელბურთისა და სხვა სექციები, იზრდება ფეხბურთელთა და მოჭიდავეთა სექციებში მომეცადინეთა რიცხვი. ფეხბურთელებს ავარჯიშებს მოწინავე ტრაქტორისტი ვ. ბექაური, მოჭიდავეებს კი — მძღოლი დ. თვაური.

გამოთხოვებისას დირექტორმა გვითხრა:

— თუ არ დაგეზარებათ, თვენახევრის შემდეგ კიდევ შემოიარეთ და ნახავთ როგორ სორციელდება ჩვენი გეგმები.

რა თქმა უნდა, ჩვენ კვლავ ვეხტუმრებით ვარკეთილის მეურნეობას. სხვა რომ არა იყოს, იგი ხომ „ლელოს“ საგუშაგოს ერთ-ერთი უბანია.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გარდაბნის რაიონი.

ასეა

ყოველ

ტრადიციად დამკვიდრდა ლაგოდეხის რაი
რვეულ ყვარლის რაიონის ახალსოფლის, ჭიკაანი
ობაში. ახალგაზრდობა მუდამ თვალყურს ადევნებ
ანში მოეწყო, მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა
როგორც ყოველთვის, ახლაც „ლენტი გაკ
მა სცადა თავისი ძალა და მოქნილობა.

ს ურ ა თ ებ ზ ე: მარცხნივ — პატარა ფ
ძეგ (ლელიანი) „სმალი სმალს გადაეჭდეს“.
დიდებმა გააგრძელეს. ამჯერად ჭიკაანელი ყ
დადგა, და ახლაც მასპინძელმა იზეიმა ქულებ

თასის ორგზის მფლობელი

გურთეგის გალანსის ფუალოგით

მაგდეგურგი, 1 მარტი. მეორედ გახდნენ ფუალბურთში ევროპის ქვეყნების რემპიონთა თასის მფლობელნი ბელგრადის „პარტიზანის“ სპორტსმენები.

პირველ ფინალურ მატჩში (ზაგრებში) მათ მოუგეს მაგდებურგის „დინამოს“ — 5:3. საპასუხო მატჩი კი გერმანელ ფუალბურთელთა გამარჯვებით აღინიშნა — 5:4.

ბურთების უკეთესი სხვაობის ფუალობით თასი მიეკუთვნათ ბელგრადელებს.



განთიადელ ძალოსან დ. შანიძეს ბევრჯერ უსახელებია თავი როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო შეჯიბრებებში. იგი სიბეჯითით გამოირჩევა და აკი ამიტომაცაა, რომ ამ ახალგაზრდა ათლეტის შედეგები სულ უფრო მატულობს. თბილისში ახლახან დამთავრებულ საქართველოს უძლიერეს ძალოსანთა ასპარეზობაში დ. შანიძემ მსუბუქი წონის სპორტსმენთა შორის I ადგილი დაიკავა საკმაოდ მაღალი შედეგით — 360 კგ.

სურათზე: დ. შანიძე ემზადება აკვრისთვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჰრეტენზიები, შეცდომები...

ა. კოტრიკაძე,
თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი.

„დაცვის ზონური პრინციპის დანერგვაში ხელს გვიშლის ცრუ აზრი, თითქოს მეურვეობა აუცილებლად დისტანციაზეა საჭირო. ეს არაა სწორი. შეიძლება დისტანციაზე თამაში და შეიძლება მეტოქეთა აყვანა მჭიდროდ, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეს აყვანა ხდება ერთხელ და სამუდამოდ, ფორვარდს დაყვებიან მინდორის ყველა სექტორში, ხოლო მეორე შემთხვევაში განაწილება ხდება მიზანშეწონილობის პრინციპით. მცველთან ახლოს მყოფი ხიფათის მიხედვით“, — წერს ვ. მდივანი.

ზონური პრინციპის დანერგვას სინამდვილეში ხელს უშლის არა მის არსში გაურკვევლობა, არამედ ის სწორი აზრი, რომ მას კომბინირებული დაცვის პრინციპი ჯობს (ამიტომაცაა ეს უკანასკნელი მიღებული გუნდების უმეტესობის მიერ როგორც ამას თვით ავტორიც აღნიშნავს).

რაც შეეხება სტატიის დასარჩენ ნაწილს, იგი სავსებით გაუგებარია. ჯერ ერთმანეთს დაპირისპირებულია დისტანციაზე თამაში და მჭიდროდ აყვანა, მერე კი მათი განსხვავება ასეა ახსნილი: პირველ შემთხვევაში, ე. ი. დისტანციაზე თამაშის დროს, მეტოქეს ერთხელ და სამუდამოდ აიყვანენ და დაჰყვებიან მინდვრის ყველა სექტორში, ხოლო მეორე შემთხვევაში, ე. ი. მჭიდროდ აყვანისას, ფორვარდს ის მცველი იჭერს, რომელთანაც ახლოსაა ხიფათი. ჯერ ეს ერთი, რას ნიშნავს დისტანციაზე თამაშის დროს მჭიდროდ აყვანა და როგორ ხორციელდება იგი? და მეორეც, — როცა ფორვარდს ერთხელ და სამუდამოდ აიყვანენ და ჩრდილავით დაჰყვებიან მინდორზე, სექტორიდან სექტორში, ეს წმინდა პერსონალური დაცვაა და არა ზონური.

მაგრამ დავუბრუნდეთ კომბინირებულ დაცვას, რას წარმოადგენს იგი? როგორია მისი პრინციპები?

1. რაც ახლოა მოწინააღმდეგე, მით მეტი ყურადღება ესაჭიროება მას.

2. ბურთის მიღების ზონაში მეტოქეს არ უნდა მიეცეს ბურთის თავისუფალი დაუფლების საშუალება, ე. ი. საჭიროა მისი მჭიდროდ დაჭერა პერსონალური დაცვის პრინციპით, მაგრამ ეს დაჭერა ხდება არა ერთხელ და სამუდამოდ, არა მთელ მინდორზე უკან დევნით, არამედ ბურთის მიღების მომენტში კვ და იმ მცველის მიერ, რომელიც იქ იმყოფება

3. როცა მეტოქე კარიდან შორსაა მას მეურვეობენ დისტანციაზე არა მჭიდროდ აყვანით (ეს შეუძლებელია, რაკი დისტანციაზეა ლაპარაკი), არამედ სწორი პოზიციის არჩევით.

4. განაპირა მცველი თამაშობს პერსონალურ დაცვას. მაგრამ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა შეტევა მის ფლანგზეა. თუ კი შეტევა მოპირდაპირე ფლანგზეა, მაშინ იგი ზონას თამაშობს.

5. სტოპერი უმეტეს შემთხვევაში თამაშობს ზონას, ვინაიდან მისი უბანი უფრო საპასუხისმგებლოა და მისი მიტოვებაც სახიფათოა.

ზონა საერთოდ იმდენია, რამდენიც მოთამაშეა მინდორზე, ე. ი. მცველთათვის 4 და არა 3. ზონები მუდმივ და მყარ ერთეულებს არ წარმოადგენს. ისინი იცვლებიან, კვეთენ ერთმანეთს და ა. შ., რადგან ყოველი მოთამაშის ზონას თამაშის თვითეულ მომენტში წარმოადგენს ის სამოქმედო ასპარეზი, რომელიც მისი მზერის წინაშეა. მცველთა მიერ ურთიერთდაზღვევა ხდება იმ წესით, რომელიც ვ. მდივანს აქვს აღწერილი და ჩვენი დაცვის სისუსტე სწორედ ამ წესის დარღვევაშია, კერძოდ, სტოპერების მიერ უსწორო პოზიციის დაკავებაში ფლანგებზე წამოწყებული შეტევებისას.

ფსიქოლოგიური ფაქტორი ასე ეწოდება სადისკუსიო სტატიის ბოლო ნაწილს. უნდა ითქვას, რომ ერთგვარი შექება გუნდისა, რომლითაც ის იწყება, ცოტა არ იყოს, დისონანსშია მთელ სტატიასთან. მართლაც და, რაღა დარჩათ დინამოელებს საქებ, თუ კი მათ იმდენი ხარვეზი აქვთ, რამდენიც სტატიაშია ჩამოთვლილი?!

როგორც ვ. მდივნის წერილიდან ჩანს, ეს ხარვეზები 1964 წელსაც ჰქონია გუნდს და მხოლოდ სულიერ აღმავლობას უნდა ვუმადლოდეთ ჩემპიონობას. ახლა ეს გადამწყვეტი ფაქტორიც დაუკარგავს გუნდს და რაღა დარჩა? რისთვისღა ვაქებთ მას, ან რა ასაზრდოებს ჩვენს ოპტიმიზმს? პირდაპირ გასაკვირია. გუნდის წარსული? ეს ცოტაა.

კოლექტივის სიძლიერე უდა განიზომებოდეს ყოველ მოცემულ მომენტში და წარსულის დიდება დღევანდელ ნაკლოვანებებს ვერ დაფარავს, ხოლო თუ გუნდის პოტენციალზეა ლაპარაკი (რაც იმის აღიარებას ნიშნავს, რომ გუნდს ჯერ გამოუყენებია თავისი შესაძლებლობანი), მაშინ უნდა გამოვრიცხოთ იმ ნაკლოვანებათა უმეტესობა, რომლებსაც ვ. მდივანი გუნდს მიაწერს. რატომ? იმიტომ, რომ შეუძლებელია ვ. მდივნის მიერ ჩამოთვლილი ტექნიკური და ტაქტიკური ხარვეზების შევსება ერთი წლის განმავლობაში.

საბედნიეროდ, საქმე ისე არაა, როგორც ამას სადისკუსიო სტატია აღწერს. დინამოელებს ტექნიკაკი მაღალი აქვთ და ტაქტიკაც თანამედროვე დონისა გააჩნიათ. მათი ნაკლოვანებები, როგორც უკვე აღვნიშნე, უმთავრესად მორალურ-ნებელობითი ხასიათისაა. თუმცა ყოყოჩობა და წარმატებებისგან თავშერუდაბვევა ამ ნაკლოვანებებს შორის არ ირიცხება.

ახლა ცოტა რამ მომავლზეც. ფეხბურთელთა დამოკიდებულება საქმისადმი, მათი დისციპლინა, განწყობილება და სულისკვეთება იმის იმედს იძლევა, რომ მომავალში მინიმუმამდე დავიყვანთ სუბიექტური მიზეზების გავლენას მატჩების შედეგებზე და გუნდის საერთო ფიზიკური და, ასე ვთქვათ, „სულიერი მომზადება“ თანდათან იმავე დონეზე ავა, რომელზედაც მისი ტექნიკა და ტაქტიკა დგას, რათა შედეგომში ამ 4 კომპონენტიდან არც ერთი არ ჩამორჩებოდეს ერთმანეთს.

დასასრულ მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო მიმდინარე დისკუსიის მნიშვნელობა და მადლიერება გამოვთქვა მისი ორგანიზაციის გამო. მჯერა, რომ ამ დისკუსიის შედეგად გარკვეული კონტური მიეცემა მრავალ თეორიულ დებულებას, ხოლო ზოგი მათგანი იქნებ დასრულებულ სახემდეც კი მივიდეს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის თეორიას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ჩვენი სიღარიბე ამ მხრივ. უთეორიოდ პრაქტიკა ბრმაა. ამით ყველაფერია ნათქვამი. მაგრამ ნუ დავივიწყდება, რომ ფეხბურთის თეორიას იგივე მოეთხოვება, რაც ყველა სხვა თეორიას. სახელდობრ, მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობა. უამისოდ თეორიული გამოკვლევები მდარე, ზერელე, სუსტი და მცდარი იქნება. შეუძლებელია მდიდარი ფაქტობრივი მასალის გარეშე, მისი ობიექტური, ღრმა ანალიზის გარეშე სწორი განზოგადებებისა და დასკვნების გაკეთება. სიდარბაისლეც და სიდინჯეც აუცილებელია, რათა შეცდომები ავიცდინოთ. თუ არა და მივიღებთ მხოლოდ ერთი დღისთვის დაწერილ სტატიას, რომლის უმწეობა ლამაზი ფრაზებით, ხატოვანი შედარებებითა და ქართული ფეხბურთის მისამართით ნათქვამი კომპლიმენტებით იქნება შენიღბული.

სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ისეთი საწებელია, რომელთან ერთადაც გულშემატკივარი ყოველგვარ „კერძს“ მოინელებს. მაგრამ მე მგონია, რომ მთავარი საკითხი მაინც „კერძის“ ხარისხი და სარგებლობაა და არა საწებლის სურნელება. ასეა თუ ისე, მხოლოდ „ლამაზად“ და საამებლად წერა გაუმართლებელია, როცა საქმე თეორიულ დებულებებსა და რეკომენდაციებს ეხება. გუნდის გამარჯვების არამც თუ გრძნობებით საფუძველ ჩაეყრებოდეს. სამდურავსაც კი მიუძღვნიან ხოლმე მის დამარცხების შეიძლება კარიკატურითაც გამოეხმაურონ. მაგრამ ეს ხომ ხელოვნებაა, ფეხბურთის თეორია კი მეცნიერებას მიეკუთვნება. ამიტომ იგი ემოციებისა და განცდების მინიმუმს თუ მოითმენს მხოლოდ. გრძნობების მოზღვავებით შეიძლება ლექსის დაწერა, ფეხბურთის თეორიის. ტაქტიკისა ან წვრთნის საკითხების პოემით გადმოცემა კი არა... ან არა და ეს იუმორით უნდა კეთდებოდეს. რათა სერიოზულმა სახემ. დამრიგებლურმა და ქედმაღლურმა ტონმა ჩაკითხული შეცდომაში არ შეიყვანოს.

სოლისტები და გუნდი

ყოველ გუნდს ჰყავს ერთი ან ორი სოლისტი. ისინი მეტწილად ცენტრალური თავდამსხმელები არიან, მაგრამ ამ როლში ჩვენ ხშირად გვინახავს გარემარში ან მცველი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მოთამაშე აღღებს ხელში (რა თქმა უნდა, ერთ კონკრეტულ მატჩში) ბრძოლის სადავეებს და როგორ უქმნის მას კოლექტივი თამაშისთვის ხელსაყრელ პირობებს.

როსტოვის „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდული კოლექტივის თამაშს, რა თქმა უნდა, ბევრი ხარვეზი აქვს. ეს მომავლის გუნდია და იგი უმაღლეს ლიგაში ჯერჯერობით, ასე ვთქვათ, აკლიმატიზაციას გადის. მაგრამ როსტოველებმა სოლისტისა და კოლექტივის ურთიერთდამოკიდებულების კარგი მაგალითი გვიჩვენეს და ამ მხრივ ისინი უდავოდ მიბაძვის ღირსი არიან.

რაში მდგომარეობს ეს ურთიერთდამოკიდებულება? იქნებ იგი გუნდის საბრძოლო რესურსების უკმარობიდან გამომდინარეობს? არა, გვგონია. კოლექტივი თავის წამყვან მოთამაშეთაგან მოქმედების ხელსაყრელ პირობებს მარჯვედ და გონივრულად უქმნის იმას, ვისაც ამ დღეს „გამოსდის“ თამაში.



სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

სოლისტები სხვა გუნდებსაც ყავთ, მაგრამ მათ მუდამ როდი იყენებენ რაციონალურად. ჩვენი კალათბურთელებისთვის საბედისწერო მატჩში ნოვოსიბირსკის „დინამოსთან“ ბრწყინვალე ფორმაში იყო სურგულაძე. მას, როგორც ამბობენ, „სროლები წაუვიდა“. სამწუხაროდ, გუნდმა ვერ გამოიყენა სურგულაძის იმდღევანდელი კოზირი: ვერ შეუქმნა მას ფართო სამოქმედო ასპარეზი და სურგულაძეც ფაქტიურად თამაშს გამოეთიშა.

ამ მხრივ საგულისხმო იყო სვერდლოვსკის „ურალმაშისა“ და ლენინგრადის არმიელთა შეხვედრა. სვერდლოვსკელი ფომინიხი მთელი მატჩის განმავლობაში უშედეგოდ „ბომბავდა“ კალათს. და ეს იმ დროს, როცა მისი თანაგუნდელი შვეცოვა ქულას ქულაზე აგროვებდა. ფომინიხის „დაშმშინების“ მიზნით მწვრთნელმა წუთშესვენებაც კი აიღო. აზარტში შესულ კალათბურთელს აუხსნეს, რომ ამჟამად საჭიროა მთელი ყურადღების გადატანა შვეცოვაზე. ფომინიხმა, რომელიც უდავოდ მაღალი კლასის კალათბურთელია, წონასწორობა ვერ აღიდგინა და თამაში ძველებურად წარმართა. მაშინ მწვრთნელმა იგი თამაშიდან გამოიყვანა.

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ეტაპი დამთავრდა. ვერც ერთმა გუნდმა თავი ვერ დააღწია მარცხს. წაიბორძიკა ისეთმა აღიარებულმა ფავორიტმაც კი, როგორიცაა რიგის ტტტ. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე მედლების რაოდენობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერს მხოლოდ ბოლო ტურის მატჩები გაარკვევს. გუნდებს ორკვირიანი დასვენება მიეცათ. ეს დრო სავსებით საკმარისია ანალიზისა და დასკვნებისთვის. 20 მარტს კი მოსკოვში ხელახლა შეიკრიბება 12 კოლექტივი და ერთკვირიანი ბრძოლის შემდეგ უკვე გვეცოდინება სსრ კავშირის ჩემპიონის, ვიცე-ჩემპიონისა და ბრინჯაოს პრიზიორის ვინაობა.

ნ. გუგუშვილი.

გათამაშების ცხრილები

ქალები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ რიგა	16	14	2	14
სპ თბილისი	16	13	3	13
„ურალმაში“ სვერდ.	16	10	6	10
„დინამო“ მოსკოვი	16	9	7	9
„პოლიტექნიკა“ კაუნ.	16	8	8	8
„დინამო“ კიევი	16	8	8	8
„ბურევესტ“. ლენინგრ.	16	8	8	8
„სპარტ“. მოსკ. ოლქი	16	8	8	8
ასკ ლენინგრადი	16	7	9	7
„დინამო“ ნოვოსიბ.	16	6	10	6
„უნივერსიტ“. ტარტუ	16	5	11	5
„ბურევესტ“. როსტოვი	16	0	16	0

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	16	15	1	15
„უალგირისი“ კაუნასი	16	10	6	10
„სტროიტელი“ კიევი	16	10	6	10
ვეფ რიგა	16	9	7	9
ასკ რიგა	16	8	8	8
„კალევი“ ტარტუ	16	8	8	8
„სპარტ“. ლენინგრ.	16	8	8	8
„დინამო“ თბილისი	16	7	9	7
ასკ კიევი	16	7	9	7
„ურალმაში“ სვერდლ.	16	6	10	6
ასკ ლენინგრადი	16	4	12	4
„დინამო“ მოსკოვი	16	4	12	4

ვეხმაურები ვ. მდივნის წერილს „შედეგები, პრობლემები...“

დასასრული. იხ. „ლელო“ № № 39, 40, 41.

სხვა ქალაქებში

ვაქვეყნებთ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის ბოლო კალენდარული დღის შედეგებს.

ქალები

რიგა. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 48:38, ტტტ (რიგა) — „დინამო“ (კიევი) 65:32, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 66:45.

ვაჟები

ტარტუ. „სტროიტელი“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) 73:53, ასკ (კიევი) — „კალევი“ (ტარტუ) 59:55, „ალგირისი“ (კაუნასი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 69:62.

ლელის კრიტიკოსები

ლიუბრალ

...ელების ლელიანის, აფენისა და ჭაბუკიანის, აგ...ების სპორტსმენთა შეხვედრები ქართულ ჭიდ...ოთა. წლევანდელი ტურნირი, რომელიც ლელი...ელების დამყარების 45-ე წლისთავს.

...ტრებმა. მათ მოჰყვნენ დიდები, და ათობით წყვილ...

...ა თევდორაშვილმა (ახალციხელი) და ბუზალა...ობაში“ გიმარჯვა ბუზალაძემ. მერე ჭიდილი ...ბრისპირ ისევ ლელიანელი და ისევ ბუზალაძე ...ჯება.

ფოტო და ტექსტი რ. გაბრიჭიძისა.





დიდი მოჭადრაკეების სილუეტები

30-ან წლებში საერთაშორისო სარბიელზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია დიდოსტატმა სალო ფლორმა. ფიდე-ს 1937 წლის კონგრესზე იგი ოფიციალურად აღიარეს საჭადრაკო ტახტის პრეტენდენტად. მაგრამ მისი მატჩი ა. ალიოხინთან არ შედგა — ჰიტლერულმა ხროვამ დაიპყრო ჩეხოსლოვაკია (იმ დროს ფლორი ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე იყო).

57 წლის დიდოსტატი ახლა უკვე იშვიათად მონაწილეობს ტურნირებში. ფლორმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა როგორც საჭადრაკო ჟურნალისტმა. მას ძალიან უყვარს ხუმრობა, იუმორი და, საერთოდ, ბევრი უნახავს ამ ქვეყნად. თუმცა, ამაში თვითონაც დარწმუნდებით. აი, საუბარი ს. ფლორთან.

● **30-ან წლებში თქვენ ხშირად ხვდებოდით ჭადრაკის კორიფეებს — ა. ალიოხინსა და ხ. კაპაბლანკას. გთხოვთ გაგვიზიაროთ ზოგიერთი მოგონება.**

— ალიოხინთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა, თუმცა ჭადრაკის დაფასთან იგი მაინცდამაინც არ აგლენდა მეგობრულ გრძნობებს. პატივცემული ალექსანდრე იყო ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი, რომლისთვის პარტია არ მომიგია.

ალიოხინი ერთგვარად გულჩათხრობილი კაცი გახლდათ, მაგრამ თუ ვინმეს მიმართ სიმპათიურად იყო განწყობილი, ამ გრძნობას არც მალავდა. ასეთთა მიმართ იგი კეთილი იყო და ხალისით აძლევდა არა მარტო რჩევა-დარიგებას, არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდა. როდესაც მე და გ. შტოლეი სულ ახალგაზრდა დიდოსტატები ვიყავით, საფრანგეთში ჩვენ გვმასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონი. მან მოგვცა მეტად ძვირფასი რჩევა, თუ როგორ მოგვეგო ბანქო მონტე-კარლოს სათამაშო სახლში. მაგრამ „რჩევა“ დამთავრდა იმით, რომ ალიოხინი იძულებული შეიქნა ჩვენთვის, ქარაფშუტა ახალგაზრდებისთვის, სამგზავრო ფული მოეცა.

ალიოხინ — ეივეს 1935 წლის მატჩის დროს ჩვენი ურთიერთობა გამწვავდა. მე დავთანხმდი ორთაბრძოლაში უანგაროდ დავხმარებოდი ჰოლანდიელ ჩემპიონს. ამ დახმარებას მატჩის დასაწყისში ალიოხინი ირონიულად უყურებდა. როდესაც ანგარიში 3:1 გახდა მის სასარგებლოდ, მან სარკასტული ღიმილით თქვა:

— შენი რჩევა ეივეს ისე ეხმარება, როგორც მკვდარს — ცხელი ტილო!

მაგრამ როცა ანგარიში გათანაბრდა, ალიოხინი აღელდა: ხომ შეიძლება ეს პატარა ფლორი დიდ გავლენას ახდენდეს ჩემს მეტოქეზეო?!

მატჩის შემდეგ დავუფიქრდი ჩემს საშწვრთნელო მოღვაწეობას და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ალიოხინი, ალბათ, მართალი იყო. როცა ორი მოჭადრაკე საჭადრაკო გვირგვინისთვის იბრძვის, მესამე პირი ამ საქმეში არ უნდა ერეოდეს, მით უმეტეს, თუ იგი დიდოსტატია (თანაც პრეტენზიას აცხადებს ჩემპიონის წოდებაზე).

ალიოხინი, რომელსაც შეეძლო თვალხუჭულად 32 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსის გამართვა, ცხოვრებაში მეტად დაბნეული კაცი იყო. 1933 წელს იგი პრაღაში ჩამოვიდა. მას დეკემბრის დამლევს უნდა შევხვედროდი ჰასტინგსში, მანამდე კი მოსკოვში მატჩი უნდა მეთამაშა მ. ბოტვინიკთან. ამიტომ ალიოხინს ვთხოვე წამოეღო ჰასტინგსში ჩემი პატარა ჩემოდანი სმოკინგით (მაშინ ინგლისში დიდი ცოდვა იყო ვახშამზე უსმოკინგოდ მისვლა).

როცა ჰასტინგსში შევხვდი ალიოხინს, ჩემი პირველი კითხვა იყო:

— ჩემოდანი თუ ჩამოიტანე?

— რასაკვირველია! — მიპასუხა.

„ინტერვიუ“

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა ჩემოდანში აღმოვაჩინე... ქალის კაბები. გზაში ალიოხინს ვიღაცის ჩემოდანში არევია ჩემი ჩემოდანი.

მახსოვს, ერთხელ, კემერის ტურნირის დროს, ალიოხინმა, რომელიც რამდენიმე საათს სასტუმროს ჰოლში ბრიჯს თამაშობდა, თავზე ხელი შემოიკრა: გაახსენდა, რომ ნომერში მეუღლე ჩაუკეტია.

ხოსე რაულ კაპაბლანკა — უაღრესად თავაზიანი, სასიამოვნო ადამიანი, ნაღდი ჯენტლმენი გახლდათ. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ტურნირებში ინგლისსა და მოსკოვს. მოიცებდა მისი ფენომენალური ინტუიცია, პოზიციის უშეცდომო შეფასება.

როდესაც მასთან მოსკოვის 1935 წლის ტურნირში გადავდე ენდშპილი, მოგების იმედი მქონდა. ეს ვუთხარი კაპაბლანკას. ნაწყენმა მიპასუხა:

— ახალგაზრდავ, ჩაიხედეთ წიგნში — ასეთ პოზიციებს კაპაბლანკას ვერ უგებენ!

იგი მართალი აღმოჩნდა. მოგება ვერ „გამოვწურე“.

მე და კაპაბლანკას, როგორც მოჭადრაკეებს, ბევრი გვქონდა საერთო: ორივეს გვიყვარდა პოზიციური თამაში, გონებამახვილური ბრძოლა ენდშპილში და, ბოლოს, ორივე „ზარმაცი“ ვიყავით. როგორც კი დიდოსტატები გავხდით, „შევიძულეთ“ თეორიის სწავლა, დებიუტთა ცნობარებისა და სატურნირო კრებულების ჩიჩქნა.

მხოლოდ 1935 წელს, როცა კბილებამდე შეიარაღებულ საბჭოთა მოჭადრაკეებს შევხვედით და ერთდროული თამაშების სეანსებში... პიონერებს შევებით, „საცარი“ რამ გადაგვხდა: მეტოქენი ზედაზედ გვჰქერდნენ სადებიუტო ვარიანტებზე. და მაშინ ვიგრძენით, რომ წერტილი დაესვა ჩვენს უშფოთველ ცხოვრებას.

— საბჭოთა ოსტატებმა მაიძულეს სიბერეში ჩავჯდომოდი დებიუტების თეორიის შესწავლას, — შემომჩივლა ერთხელ კაპაბლანკამ.

ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ჭადრაკში სისტემატური მუშაობის გარეშე წარმატების მოპოვება წარმოუდგენელია.

● **ყველაზე ძნელი ორთაბრძოლა რომელი გქონიათ?**

— უდავოდ ჩემი საკონსულტაციო პარტია ჰასტინგსში ახალი, 1933 წლის ღამეს. ალიოხინი და მე ვებრძოდით ინგლისელ ოსტატებს ჯ. თომასსა და გ. სერჯენტს. საქმე ის არის, რომ საჭადრაკო დაფის ყოველ უჯრაზე იდგა ფეხიანი ჭიქა პირამდე სავსე ალკოჰოლური სასმელით. და რომელ უჯრაზეც დაიდგმებოდა პაიკი ან ფიგურა, ის ჭიქა უნდა დაეცალა მოთამაშეს. კიდევ კარგი, რომ მე და ალიოხინი სვლებს რიგრიგობით ვაკეთებდით... მაგრამ როცა მე-5 სვლაზე მხედარი f6-ზე გადავდგი, იძულებული გავხდი დამეცალა ვისკით სავსე საკმაოდ მოზრდილი ჭიქა. მაშინვე ავწიე ხელები და ვიყვირე: „ვნებდებით“.

ინგლისელები ამიყვირდნენ: ეს უპატრონო თამაშია!

პარტია უნდა გამეგრძელებინა... ვინ მოიგო, აქამდე არ ვიცი. მკონია უფრო „გამძლენი“ აღმოჩნდნენ ინგლისელები.

ა. კოგლენცი,
სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

რიგა.

გუშინ...

თბილისის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის VII ტურში გადადებული პარტიების დამთავრებისას უბილავამ მოუგო მიქაძეს. ყაიმით დასრულდა პარტიები: კერნოჟიცკი — ბოკუჩავა, ვეტოხინი — დავითაშვილი, მეგრელიშვილი — შიშოვი და მიქაელიანი — ვარდოსანიძე. 7 ტურის შემდეგ წინ არიან: ჩიქოვანი, ჩაგუნავა — 5-5 ქულა, ბოკუჩავა, ბუსლაევი, დავითაშვილი, კერნოჟიცკი, უბილავა — 4,5-4,5.

* * *

ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა თბილისის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის 1 ტური. აი, მისი შედეგები: ხუბულურმა მოუგო კუპრაშვილს, გოგიავამ — ხამორაძეს, ბელოზიოროვამ — გედენიძეს. 4 პარტია გადაიდო.

სურათზე: თბილისის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი. მიმდინარეობს მორიგი ტური.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მაშ, ასე! ხვალ იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში სტარტს აიღებს ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენი სამყაროს უძლიერესი კოლექტივები იბრძოლებენ მსოფლიოსა და ევროპის ტურნირთა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის.

ლიუბლიანაში ყველაფერი მზადაა ჰოკეისტთა საუკეთესო გუნდების საასპარეზოდ. ბრძოლაში ჩაებმებიან სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, აშშ-ის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების გუნდები. ჩემპიონატის საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართება ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ნაკრები გუნდების მატჩი.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ მსოფლიო ჩემპიონატის საასპარეზოს: მარცხნივ — ლიუბლიანის სპორტის სასახლეს, მარჯვნივ კი — ამ შესანიშნავი ნაგებობის ყინულის სარბიელს, სადაც იასპარეზებენ მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტები.

ფოტო ტანიუგ-საკდესისა.

ზამთრის ტურნირზე

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ პრეშოვის „ტატრანისა“ (ჩეხოსლოვაკია) და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდები.

გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 1:0. ბურთი გაიტანა ბურჩალკინმა.

დარჩენილ შეხვედრათა კალენდარი

2 მარტი. ასკ (ოდესა) — ასკ (როსტოვი). **3.** „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი). **4.** „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ბათუმი). **5.** ასკ (როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი). **6.** ასკ (ოდესა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

კვირას, 6 მარტს, მატჩი დაიწყება 14 საათზე, დანარჩენ დღეებში — 16 საათზე.

უჩვეულო ანგარიშით

კვირას, თბილისის „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე დაიწყო დედაქალაქის პირველობა რაგბში. მონაწილეობენ „დინამოს“ I და II, „ლოკომოტივის“, სპორტკლუბ „ელმავლის“, უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდები.

პირველ ტურში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ თამაშობდა „დინამოს“ II გუნდი. მატჩი მიმდინარეობდა რკინიგზელთა უპირატესობით და დამთავრდა მათი გამარჯვებით — 18:9.

სამაგიეროდ, „დინამოს“ I კოლექტივმა უჩვეულო ანგარიშით (73:0) დაამარცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენები. ამ მატჩის შედეგი სენსაციურად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან მომავალ ავრონომთა გუნდი ერთ დროს ძლიერად ითვლებოდა.

6 მარტს გაიმართება მორიგი შეხვედრები.

ე. ქებაძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01463